პანთეონი

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

კონსტანტინე უნგიაძე - კომპოზიტორი (89 წლის)
ზეინაბ უნგიაძე - მისი მეუღე (58 წლის)
სანდრო უნგიაძე - კომპოზიტორის ვაჟი პირველი ქორწინებიდან (62 წლის)
ელისო - კომპოზიტორის ძმის შვილი (51 წლის)
ვიქტორ ანჩაბაძე - მათემატიკოსი (85 წლის)
ვერა ედისონი-ანჩაბაძე - მისი მეუღლე (74 წლის)
ნოდარ მუხიგული - საქ სსრ კულტურის მინისტრი (48 წლის)
ვალერიან ლომაძე - კულტურის მინისტრის მოადგილე (55 წლის)
ზურაბ მელიქიძე - საქ სსრ ცეკას მესამე მდივანი (38 წლის)
სკოლის მასწავლებელი ქალი (41 წლის)
ექთანი (34 წლის)
სერგო - ფოტოგრაფი (47 წლის)
თემური - სახალხო ფრონტის წევრი (28 წლის)
ნაირა - დამლაგებელი (66 წლის)
სკოლის მოსწავლეები, მილიციელები

მოქმედება ხდება საბჭოთა საქართველოში, თბილისში, 1988 წელს

პირველი მოქმედება

პირველი ეპიზოდი

სცენა წარმოადგენს კომპოზიტორ კონსტანტინე უნგიაძის ბინის ერთ-ერთ ოთახს (სერჟანტ პავლოვის სახ. ქუჩაზე არსებულ ე. წ. კომპოზიტორთა სახლში). ოთახი, მიუხედავად თვალშისაცემი სიმცირისა, მრავალგვარი დანიშნულებისაა: აქაურობა ერთდროულად სამედიცინო პალატაცაა, ბიბლიოთეკაც, სასაუზმეც, საძინებელიც და სამუშაო კაბინეტიც. კედელთან როიალი დგას.

კედლებზე შუშის ჩარჩოში ჩასმული აფიშებია მიმოფანტული: ***კონსტანტინე უნგიაძე - 70****;* ***კონსტანტინე უნგიაძე - 80****;* ***კონსტანტინე უნგიაძე - VII სიმფონია****;* ***კონსტანტინე უნგიაძე - კონცერტი ჩელოსა და დუდუკისათვის; კონსტანტინე უნგიაძე - შემოქმედებითი საღამო: "სიმფონია-რიონი", ოთხი სიმღერა ზ. კოჩეტკოვას ლექსების ციკლზე "ჩემი გაზაფხული" (ასრულებს ტენორი ალ. ხაფავა), დიდი ფუგა "პრომეთეს ანდერძი"****;* ***კონსტანტინე უნგიაძე - სიმღერების ციკლი "შოშიები"****;* ***კონსტანტინე უნგიაძე - ორატორია გუნდის, ორკესტრისა და ექვსი სოლისტისტვის (ლ. ბრეჟნევის თხზულების, "მცირე მიწის" მიხედვით),*** ***კონსტანტინე უნგიაძე - VIII სიმფონია ("ალიონი")****.*
კედლებზე, ასევე, ფოტოები და ფერწერული ტილოებია ჩამოკიდებული (ძირითადად, კომპოზიტორის პორტრეტები). კუთხეში, წიგნების თაროსა და როიალს შორის, კონსტანტინე უნგიაძის შავ მარმარილოში ჩამოსხმული ბიუსტი დგას.

როიალზე დევს სანოტო რვეულები, წამლები, თერმოსი და წნევის აპარატი. თაროზე, წიგნებსა და ჟურნალებს შორის, დიდი ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი და ფირსაკრავია შეტენილი. როიალზე წითელი ტელეფონი დევს, საწოლის გვერდით - ჟანგბადის ბალონი.

თავად 88 წლის კომპოზიტორი კონსტანტინე უნგიაძე საწოლზე წევს და თვალდაჭყეტილი მისჩერებია ჭერს - გვერდით წვეთოვანი უდგას, სახეზე ჟანგბადის ნიღაბი უკეთია. მისი საწოლის ქვეშ ღამის ქოთანი დევს.

კარს უხმაუროდ აღებს კომპოზიტორის მეუღლე - ზეინაბ უნგიაძე (ეს ქალი ფაქტობრივად მთელი სპექტაკლის განმავლობაში აღარ დატოვებს სცენას - ეს ამბავი მისი "სოლოა").

ზეინაბ უნგიაძე. *(უკან იხედება, ხმადაბლა)* შემოდით.

ოთახში რიდითა და თავის ქნევა-ქნევით შემოდის ელისო. ელისოს შედარებით ხმაურიანი ფოტოგრაფი სერგო მოყვება უკან.

ელისო. *(შეშფოთებული გახედავს ფოტოგრაფს)* ჩჩ...
ზეინაბ უნგიაძე. არაფერია, არ ძინავს. *(კონსტანტინეს უახლოვდება; ხმამაღლა)* მოფსამ? *(კონსტანტინე ხრიალით პასუხობს - სიტყვები არ ისმის; ცოლი ელისოზე უთითებს)* ნახე, ვინ მოვიდა!
ელისო. *(ეტირება, თუმცა ღიმილით უახლოვდება კომპოზიტორის საწოლს)* სალამი, კოტე ბიძია, გენაცვალე... *(ელისო ხელზე კოცნის კომპოზიტორს)*
ზეინაბ უნგიაძე. *(კვლავ კონსტანტინეს - ამჯერად უფრო ხმამაღლა)* შენი ბიძაშვილის შვილი - ელისო. ნახე, რამხელა გოგოა! *(იცინის)*

კონსტანტინე უნგიაძე რაღაც ბგერებს გამოსცემს, თუმცა სიტყვები არ ისმის.

ელისო. *(ცრემლები მოსდის და იღიმება)* რაღა გოგო მე ვარ, აბა! *(ხელზე ეფერება კომპოზიტორს)* შენი ჭირიმე... მიცანი?
ზეინაბ უნგიაძე. კოტე, ხომ იცანი ელისო?
ელისო. *(შეშფოთებით)* ესმის?
ზეინაბ უნგიაძე. მოიცა, მოვხსნი ამას... იქნებ თქვას რამე. *(ჟანგბადის ნიღბის ახდას იწყებს)*
ელისო. *(შეშინდება)* ჩემ გამო ნუ იზამ, ზეინაბ, ყველას გაფიცებ, არაა საჭირო!
ზეინაბ უნგიაძე. *(წვალებით აძრობს ნიღაბს; იჭინთება)* ნახევარი საათით შეიძლება - არ მოკვდება. აუცილებელიც კია. გელაშვილის ცოლმა გამოგვიგზავნა კიევიდან - გერმანულია... იმ უბედურს აღარ ჭირდება და...

ელისო. *(როგორც ბავშვს, ისე მიმართავს კომპოზიტორს)* როგორ ხარ, ბიძი? მიცანი, ბიძი?
კონსტანტინე უნგიაძე. *(ღონემიხდილი)* მამაშენი დათვრა...
ელისო. *(ზეინაბ უნგიაძეს - გახარებულ-შეშინებული)* რა თქვა?
ზეინაბ უნგიაძე. *(ხელს აუქნევს)* არაფერი... თავის ამბებშია...
კონსტანტინე უნგიაძე. დათვრა მამაშენი...
ზეინაბ უნგიაძე. *(სიცილით, ქმარს)* სად დათვრა, ბიჭო? ოცი წელია კაცი მიწაში წევს.
ელისო. *(ხელზე ეფერება კომპოზიტორს)* ხო, ბიძი... ხო...
კონსტანტინე უნგიაძე. დათვრა...
ზეინაბ უნგიაძე. *(ფოტოგრაფს)* სერგო, ორი-სამი, მეტი არ მინდა.
ფოტოგრაფი სერგო. მარტო თუ თქვენც?
ზეინაბ უნგიაძე. მარტო, მარტო... ოღონდ ძალიანაც ნუ მიანათებ, კარგი? სახლის სიტუაცია მინდა... აბსოლუტურად ჩვეულებრივი...
ფოტოგრაფი სერგო. *(ოთახს თვალს მოავლებს)* ფარდები რომ გადავწიო?
ზეინაბ უნგიაძე. კი ბატონო. *(ოდნავ გაკვირვებულ ელისოს, რომელმაც, როგორც ჩანს, ვერ გაიგო, რას აპირებს ზეინაბი)*
ფოტოალბომს ვაკეთებ კოტეზე... ცხოვრება ფოტოებით, ასე ვთქვათ... თავისი მინაწერებით. *(ჟანგბადის ბალონს საწოლის ქვეშ აცურებს)*

სერგო ფარდებს წევს - ოთახში მზის სინათლე შემოდის.

ელისო. *(კომპოზოტორს - კვლავ ალერსიანი პედაგოგის ტონით)* გესმის, ბიძი? ფოტოს გიღებენ, ბიძი?

სერგო საწოლს უტრიალებს - არ იცის, საიდან გადაუღოს.

ზეინაბ უნგიაძე. *(ელისოს)* არ მინდა, პატარძალივით გამოვაწყო და სავარძელზე დავსვა. უამრავი ფოტოსურათი და ნახატი მინახავს, სადაც დიდი ხალხი ლოგინში წევს.

სერგო ფოტოს უღებს კომპოზიტორს. ზეინაბი - სერგოს:

კაცო, ჩვენ ხელს არ გიშლით? *(იცინის - ელისოს)* ორი წუთით აქეთ გადმოჯექი, რა.
ელისო. *(დგება)* კი, კი, აბა რა.

ელისო და ზეინაბ უნგიაძე ფანჯრისკენ მდგარ სავარძლებზე სხდებიან და ფოტოგრაფის მუშაობას მდუმარედ ადევნებენ თვალს. კომპოზიტორი ოხრავს. პაუზა.

ზეინაბ უნგიაძე. სერგო, ცოტა ახლოდანაც, გეთაყვა.
სერგო. ა?

ზეინაბ უნგიაძე. *(სახესთან გაშლილი ხელისგული მიაქვს, მკაცრად)* სახე მინდა!
სერგო. კი.

პაუზა.

ზეინაბი. კარგი გოგო ხარ, რომ ჩამოხვედი. ცოტას მეც მომეშველები. დიდი ხნით აპირებ?
ელისო. სანამ ბავშვი არ ჩააბარებს, მანამდე ვერ წავალ. თან მიტინგებზეც ვივლი. *(იცინის)*
ზეინაბი. აჰა, საქმეც მოგინახავს! ყოჩაღ. *(ესეც იცინის)*

პაუზა.

ელისო. *(უცებ ცვლის ტონს, თვალზე ცრემლი ადგება - კომპოზიტორის საწოლისკენ იყურება)* ძალიან გაწვალებს?
ზეინაბი. *(კვნესით)* მე რას მაწვალებს, თვითონ წვალობს. სისუსტე აქვს საშინელი.

დაღვრემილები დუმდებიან. პაუზა.

ელისო. *(რიდით)* შენა, ბოდიშს გიხდი, ამას რომ ვკითხულობ, მაგრამ, როცა იქნება... რა ვიცი... როგორ ვთქვა... *(ჩანს, უჭირს რაღაცის თქმა)* მოკლედ, რას იზამ: სოფელში წაასვენებ? *(უცებ ძალიან შეწუხდება)* უკაცრავად, რა.
ზეინაბ უნგიაძე. ელისო, ასე მიცნობ?
ელისო. *(შეშფოთდება)* ღმერთმა ათასი წელი მიცოცხლოს ბიძაჩემი, ხომ ხვდები, რატომ გეკითხები...
ზეინაბ უნგიაძე. მაგაზე არ გეუბნები! სოფელში წასვენებაზე ვამბობ. ბახვში დავამარხინებ ახლა მე ამას? ბოდიში მოიხადონ!
ელისო. ამიტომაც გკითხე.
ზეინაბ უნგიაძე. რა ვიცი, გენაცვალე, რა დონე იმარხება პანთეონებში, კი ხედავ და რაღა კოტეზე ჩაექცევათ სისხლი. რეგიონში ის დამარხონ, ვინც რეგიონალური დონეა.

ელისო ჩუმად ხითხითებს. ზეინაბსაც ეღიმება.

პაუზა.

ელისო. *(დასერიოზულდება - საქმიანად და ხმადაბლა)* დიდუბე გინდა?

ზეინაბი თავს აქნევს უარის ნიშნად. ელისო კიდევ უფრო უწევს ხმას:

მთაწმინდა?

ზეინაბი პასუხს არ სცემს - კოტეს უყურებს.

ორივე ხელით შენთან ვარ.

პაუზა.

ადგილი?
ზეინაბ უნგიაძე. *(არ უყურებს ელისოს)* არის. ვნახე.
ელისო. *(კონსპირაციულად)* ერთკაციანი?
ზეინაბ უნგიაძე. *(ხელს აუქნევს)* უფ, კარგი, რა... ეგ მე არ მაინტერესებს...

პაუზა.

ელისო. ელაპარაკე ვინმეს?
ზეინაბ უნგიაძე. თოთხმეტში ოთხმოცდაცხრა წლის ხდება და...
ელისო. ვიცი, კი.
ზეინაბ უნგიაძე. ...ცეკადან მოვლენ.
ელისო. *ისიც* მოვა?
ზეინაბ უნგიაძე. არ ვიცი. სამინისტროდან ნამდვილად იქნებიან.
ელისო. აქ ეტყვი?
ზეინაბ უნგიაძე. ვნახოთ.

პაუზა. მშვიდდება.

პატრიარქთანაც ვიყავი.
ელისო. *(უდიდესი ინტერესით)* აჰა.
ზეინაბ უნგიაძე. თანახმაა.
ელისო. *(გაუხარდება)* ძალიან კარგი! ჭკვიანი კაცი ყოფილა.
ზეინაბ უნგიაძე. რამდენჯერაც ბატონ კოტეს "ალიონს" მოვკრავ ყურს, იმდენჯერ ცრემლი მადგება თვალზეო.
ელისო. *(ამასაც ცრემლებით ევსება თვალები - ღიმილით)* კარგი, რა.

პაუზა.

ზეინაბ უნგიაძე. ზეგ სანდრო ჩამოვა და აღმასკომში წავიყვან. რაღაც მაინც გაუკეთოს მამამისს.
ელისო. შენ ეგა თქვი. რას ამბობს?
ზეინაბ უნგიაძე. რა უნდა თქვას!
ელისო. ცოლთან ერთად მოდის?
ზეინაბ უნგიაძე. არა.

დუმდებიან. პაუზა. ცოტა ხანში სერგოც ჩერდება.

სერგო. *(ზეინაბ უნგიაძეს)* არ ეყოფა?
ზეინაბ უნგიაძე. *(ფეხზე დგება)* კი, კი. დამეხრჩო კაცი! *(სიცილით მიდის როიალისკენ, იღებს ჟანგბადის ნიღაბს და კონსტანტინე უკეთებს)*

მეორე ეპიზოდი

იგივე ოთახი. თუმცა შედარებით დალაგებული. მეტიც, მსუბუქად საზეიმოდ მოწყობილი. კონსტანტინე უნგიაძე კვლავ თავის საწოლზე წევს, სახეზე ჟანგბადის ნიღბით, თუმცა ამჯერად თეთრი პერანგი და ყავისფერი პიჯაკი აცვია. ჰალსტუხი უხეიროდ აქვს კისერზე შებმული. საბანი მხოლოდ წელამდე უფარავს ტანს. ზეინაბ უნგიაძე შავ, არწივის მხრებივით წაწვეტებულლიპებიან კაბაშია გამოწყობილი და თავზე ჩალმის მსგავსი შლაპა ახურავს (ცენტრში ოქროსფრად მბზინავი ბროშითა და იასამნისფერი ბატის ფრთით), როიალთან სოლისტის პოზაში დგას - გაჯგიმული და მობილიზებული. მარჯვენა ხელი როიალის თავზე აქვს ჩამოდებული. ეს მისი ადგილია, მისი ტრიბუნაა.
ოთახში, ასევე, არიან: ხუთი სკოლის მოსწავლე, მათი დამრიგებელი (ქალი), კულტურის მინისტრის მოადგილე ვალერიან ლოლაძე, ცეკას მესამე მდივანი ზურაბ მელიქიძე და ელისო.

მოსწავლეებს თითო-თითო ვარდი უჭირავთ ხელში, ვალერიან ლოლაძეს - თაიგული, მელიქიძეს - გვირგვინი.

დამრიგებელი. აქ ვინცაა, ყველამ იცის, რას ნიშნავს მამული; რას ნიშნავს შენი ისტორია, შენი კულტურა. მაგრამ ისიც ყველამ უწყის, ჩვენო დიდო ბატონო კონსტანტინე, რომ ცარიელა ადგილზე არ იქმნება არცა კულტურა და არცა ისტორია - ამქვეყნად ყველაფერს თავისი შემომქმედ-სულის ჩამბერი ჰყავს. ხოლო ჩვენი ხალხის სული, მოგეხსენებათ, მომღერალი სულია; ჩვენ მომღერალი ხალხი ვართ. სიმღერით კი იმას ვმღერით, რაც ჩვენს ისტორიათან, კულტურასთან და წინაპრებთან გახლავთ დაკავშირებული - სწორედ ასეთია თქვენი სიმღერები, დიდო ბატონო კონსტანტინე, დღემდის თქვენგან მონაბერი ეროვნული ჰიმნებით ვსაზრდოობთ. მაშინ, როცა ჩვენი ეროვნულობის მასაზრდოებელ მუხას მუმლი შესეოდა, თქვენ და თქვენისთანა ბუმბერაზების შემოქმედებამ ასაზრდოვა მუმლსა და დამბალ ქერქს შორის ამოფეთქილი საციცოცხლო ნაყოფი. მადლობა თქვენ ამისათვის, დიდო ბატონო კონსტანტინე! დიდება თქვენდა! *(მოსწავლეებს)* ბავშვებო - ყვავილები.

მოსწავლეები უწესრიგოდ უახლოვდებიან კომპოზიტორის საწოლს.

ზეინაბ უნგიაძე. *(მოსწავლეებს; მკაცრად)* საწოლზე დაუწყვეთ.

მოსწავლეები, თითქოს საფლავს ამკობენო, კომპოზიტორს საბანზე უდებენ ვარდებს.

(მაღალ გოგონას)

მადლობა, გენაცვალე.

პაუზა.

ლოლაძე. ნება მიბოძეთ, კულტურის სამინისტროს სახელითაც მოგართვათ ეს მცირე თაიგული... *(მხრებში მოხრილი მიდის კომპოზიტორის საწოლთან და თაიგულს მკერდზე ადებს მოხუცებულს)*
ზეინაბ უნგიაძე. დიდი მადლობა, ბატონო ვალერიან.

საწოლს უხმოდ, სერიოზული სახით უახლოვდება ცეკას მესამე მდივანი ზურაბ მელიქიძე და გვირგვინს ფეხებთან უდებს კომპოზიტორს. შემდეგ ხელს ართმევს ზეინაბ უნგიაძეს და ისევ თავის ადგილზე ბრუნდება.

პაუზა.

ლოლაძე. *(დამრიგებელს)* თქვენ რომელი სკოლიდან ბრძანდებით?
დამრიგებელი. ას მეთერთმეტედან.
ლოლაძე. საბურთალო?
დამრიგებელი. კი.
ზეინაბ უნგიაძე. დილით ორმოცდამეექვსედანაც იყვნენ... ნოლკლასელები. *(ხელით აჩვენებს)* აი, ამხელები... სულ პაწაწინები. *(იცინის, თუმცა უცებ სერიოზილდება)* მეთოთხმეტედანაც დარეკეს.

პაუზა.

მელიქიძე. კარგია, მიუხედავად ამ საგიჟეთისა, ხალხს თავისი დიდი შვილები რომ არ ავიწყდება.
ზეინაბ უნგიაძე. *(კვნესით)* კი, ნამდვილად...

პაუზა.

დამრიგებელი. თავს აღარ შეგაწყენთ, აბა. *(იცინის - პაუზა - ხელს ართმევს ზეინაბ უნგიაძეს, ელისოს, ლოლაძესა და მელიქიძეს - ამ ორს უფრო დაბნეულობისა და არა ზრდილობის გამო - და კარისკენ მიდის)* ბავშვებო...

ოთახში მაღალი, ხმელი, სახეფერმკრთალი, სათვალეებიანი და ხნიერი მამაკაცი შემოდის (კაცს ავადმყოფური იერი დაჰკრავს). დამრიგებელი სწორედ მას შეასკდება.

ვაი, უკაცრავად!
კაცი. *(გაუგებარია, რისი თქმა უნდა)* მე...
ზეინაბ უნგიაძე. *(კაცს)* სანდრო, შემოდი.

დამრიგებელი და მოსწავლეები უწესრიგოდ გადიან.

(ზეინაბი ლოლაძესა და მელიქიძეს წარუდგენს სანდროს)

კოტეს ვაჟი - სანდრო.
ლოლაძე. *(ხელს ართმევს სანდროს)* ლოლაძე.
მელიქიძე. *(ხელს ართმევს სანდროს)* მელიქიძე.

პაუზა.

ზეინაბ უნგიაძე. სანდრო გუშინწინ ჩამოვიდა მოსკოვიდან. ოჯახი იქ ჰყავს...
სანდრო. *(მელიქიძესა და ლოლაძეს - გეგონება, ამათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ეს ინფორმაცია)* კლარა ვერ წამოვიდა, ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს ჩემს ქალიშვილს...
ლოლაძე. *(ღიმილით)* როგორი ამინდია მოსკოვში?
სანდრო. *(დათრგუნული და შეშფოთებულია)* წვიმდა... *(ზეინაბს გახედავს)* საშინლად.

პაუზა.

მიტინგია უნივერსიტეტთან. დროშებს აფრიალებენ.
ლოლაძე. *(აღელდება)* ჯერაც არ დაშლილან, კაცო?
სანდრო. *(შეშინებული)* ვინ?
ლოლაძე. *(დაიბნევა)* დემონსტრანტები.
სანდრო. არა... გადაკეტილი ჰქონდათ პროსპექტი. ყველგან მილიცია დგას.
ზეინაბ უნგიაძე. ვეღარ მოისვენეს!
მელიქიძე. გიჟები არიან, გიჟები...
სანდრო. *(გადარეულივით მიდის მამის საწოლისკენ; ისტერიულად)* მამა, როგორ ხარ? მამა... *(იმანჭება)* რა სუნია?
ელისო. ვარდებია, სანდრო. სკოლის მოსწავლეებმა მოართვეს კოტე ბიძიას.
სანდრო. *(შეცბება - გაკვირვებული უყურებს ელისოს)* ბატონო?
ელისო. *(აცრემლებულს ეღიმება)* გამარჯობა, სანდრო... ვერ მიცანი?
ელისო ვარ, გურამის გოგო.
სანდრო. აჰ! *(შუბლზე იტკიცავს ხელს)*

სანდრო გვერდს უვლის მამამისის საწოლს, ეხვევა ელისოს. ელისო დაუცხრომლად და ერთგვარი სიმსუნაგით კოცნის სანდროს... კისერში, ლოყებზე, მხრებზე.

ზეინაბ უნგიაძე. *(ლომაძესა და მელიქიძეს)* ბიძაშვილები არიან.
სანდრო. *(სათვალეს იხსნის - ლომაძესა და მელიქიძეს)* უკაცრავად...
ლომაძე. როგორ გეკადრებათ.
სანდრო. აქ მე ინფარქტი დამარტყამს, ვგრძობ. *(იცინის, ელისოს ჩაიხუტებს)* ამდენი ემოცია... ეს ქაოსი ქუჩებში... მამა... *(პაუზა - სათვალეს იკეთებს)* უკანასკნელად რვა წლის წინ ვიყავი დედაჩემის საფლავზე... დღეს ავედი. *(აღელვებისგან ნიკაპი უკანკალებს)* როგორი მოვლილია, როგორი სუფთა... *(ხელს ართმევს ზეინაბს)* მადლობა. შენ, შენ, შენ... მარტო შენ, მეტი არავის...
ზეინაბ უნგიაძე. *(თან ტირის, თან იცინის)* კარგი, ჰო, ნუ გავაგიჟებთ ამ ხალხს!
მელიქიძე. რას ბრძანებთ, ქალბატონო ზეინაბ, პირიქით...
სანდრო. *(შეშინებული)* რა *პირიქით?*
ზეინაბ უნგიაძე. *(ვერ ხვდება, რამ შეაშინა სანდრო)* რა?
მელიქიძე. ცეკაში გაჩნდა აზრი, რომ ბატონ კონსტანტინეს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭოს თბილისობაზე. ამ მოსაზრებას, როგორც ვიცი, ქალაქკომშიც უჭერენ მხარს და კულტურის სამინისტროშიც.
სანდრო. *(თავს რამდენჯერმე, მდაბლად უხრის თავს მელიქიძეს)* დიდი მადლობა, დიდი მადლობა...
ლომაძე. მარტო დედაქალაქისთვის, თუ არ ვცდები, ოთხი სიმღერა აქვს ბატონ კონსტანტინეს მიძღვნილი...
სანდრო. *(გათიშულ მამას - ნერვიულად)* მხოლოდ ოთხია? *(ლომაძეს)* კი-კი...
ზეინაბ უნგიაძე. *(წინ გამოდის)* ეს რომ დიდი პატივია ჩვენი ოჯახისთვის, ფაქტია, მაგრამ არის კიდევ საკითხი, რომლის შესახებაც სხვა ამხანაგებთანაც გვისაუბრია და კიდევ ვაპირებთ საუბარს... ყველანი შინაურები ვართ ახლა აქ და ამიტომაც ვლაპარაკობ ასე თამამად...
მელიქიძე. *(ოდნავ დაბნეულად)* ეგ, ვფიქრობ, სულ არ გახლავთ სანერვიულო - მე თავად ვესაუბრე შესაბამის ამხანაგებს და... მთავარია, ბატონი კონსტანტინე გვყავდეს ჯანმრთელად, თორემ ეგ, ჩემი აზრით, სალაპარაკო არცაა...
ზეინაბ უნგიაძე. რომ არ იმსახურებდეს, რომელი ჩვენგანი გაბედავდა რამის თქმას.
სანდრო. *(ტიკიანივით აქნევს თავს - ხან მელიქიძეს უყურებს, ხან ზეინაბს)* რა? რაზეა საუბარი? *(თვალებს ნერვიულად ახამხამებს)* უცებ ვერ ჩავერთე...
ზეინაბ უნგიაძე. *(ლოლაძეს, ღიმილით)* ორშაბათს თქვენთან ვარ ჩაწერილი.
ლოლაძე. *(ესეც ულიმის)* ვიცით და გელოდებით.
სანდრო. რა ხდება? *(შეშინებული იცინის)* რამე გამომრჩა?

პაუზა.

ზეინაბ უნგიაძე. სანდრო, პანთეონის საკითხზე ვსაუბრობთ.
სანდრო. რომელი პანთეონის?
ზეინაბ უნგიაძე. მთაწმინდის პანთეონის. *(უყურებს ლოლაძეს)*
სანდრო. აჰა, კი, გასაგებია... მაგრამ რატომ?
ზეინაბ უნგიაძე. *(ბოლოო-ბოლოო, გამკაცრდება)* სანდრო, სად უნდა დავკრძალოთ მამაშენი?

სანდრო ადგილზე შეხტება. პაუზა.

სანდრო. როდის?

მის და ბატონ კონსტანტინეს გარდა ყველა იცინის.

არა... უკაცრავად... ეტყობა, მართლა გამომრჩა რაღაც... ცოცხალია კაცი... *(ეჭვით)* არა? *(აკანკალდება)* თუ უკვე... *(ბრუნდება საწოლისკენ)* მამა... *(ლოლაძეს)* რა უნდა აქ ამ გვირგვინს? *(ზეინაბს)* რა ხდება?
ზეინაბ უნგიაძე. ცოცხალია, კაცო, ცოცხალი! *(იცინის, მაგრამ ეტყობა, გაბრაზებულია)* უიმე, მოაწყო, რა, სპექტაკლი! დამშვიდდი...
სანდრო. აბა, სად მარხავთ? *(შერცხვენილი იცინის)* გამისკდა გული... *(ჯიბიდან აკანკალებული ხელით იღებს ცხვირსახოცს, ოფლს იწმენდს შუბლიდან)*
ელისო. *(ბატონ კონსტანტინეს, ენისმოჩლექით)* გესმის, ბიძი? გესმის? *(იცინის)*

პაუზა.

ლოლაძე. *(სანდროს)* ალბათ, ბატონი კონსტანტინეც თქვენნაირი ემოციური იქნებოდა თქვენს ასაკში. არ ვარ მართალი, ქალბატონო ზეინაბ?
ზეინაბ უნგიაძე. *(კეკლუცად)* ვერ გეტყვით. კოტეს ბიოგრაფიებში ბევრი არაფერი წერია მის ემოციურობაზე და მე კიდევ რა გითხრათ - კოტე რომ სანდროს ხნის იყო, მაშინ, ბატონო ვალერიან, სკოლას ვამთავრებდი.

იცინიან. მხოლოდ სანდრო იყურება დაბნეული თვალებით.

სანდრო. *(ნერვიულად ბურტყუნებს)* საინტერესოა... ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა...

მესამე ეპიზოდი

საქ სსრ კულტურის მინისტრის კაბინეტი. კედელზე - ლენინის პორტრეტი. გრძელი მაგიდის თავში - მინისტრი ნოდარ მუხიგული, მაგიდასთან - ზეინაბ უნგიაძე და სანდრო უნგიაძე.

ქუჩიდან მიტინგის ხმაური შემოდის.

ნოდარ მუხიგული. რეგრესირებს?
ზეინაბ უნგიაძე. დიახ, ბატონო ნოდარ, დღითი-დღე უარესდება. ამიტომაც ავტეხე განგაში. უნდა გამიგოთ.
ნოდარ მუხიგული. ვიცი, ვიცი, ლომაძემ დეტალურად გამაცნო სრული სურათი.
ზეინაბ უნგიაძე. ჟანგბადის ბალონზე გვყავს მიერთებული, მის თითოეულ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე სანთელს ვანთებთ...
ნოდარ მუხიგული. მესმის, კი...

ზეინაბი მწუხარედ ამოიკვნესებს.

(სანდროს)

დიდი მამა გყავთ, ბატონო სანდრო, დიდი... მძიმე დანაკლისის შემსწრენი ვართ... არაა ეს ადვილი...
სანდრო. *(აღელდება - აკანკალებული ხელით ისწორებს სათვალეს, ხმადაბლა)* ცოცხალია ჯერ...
ზეინაბი. *(ბედს შეგუებული ადამიანივით იქნევს თავს, მოწყენილად)* ბოლო წუთებს ვითვლით…

პაუზა.

ნოდარ მუხიგული. *(უჭირს დაწყება)* ერთი პატარა პრობლემა გვაქვს, ქალბატონო ზეინაბ. ჯობია ახლავე დავსვათ ეს საკითხი.
ზეინაბი. *(შეშფოთდება)* კი, ბატონო, გისმენთ.
ნოდარ მუხიგული. ჩვენგან, ანუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან რომ არანაირი წინააღმდეგობა არ შეგხვდებათ ამ მხრივ, ალბათ, ეჭვი არ გეპარებათ: პანთეონზე საუბარი, მოგეხსენებათ, უმაღლეს დონეზეც შედგა და სრული მზადყოფნაც გამოითქვა ამ საკითხის მიმართ. მიჭირს ახლა ამაზე ლაპარაკი - ბატონი სანდროსი არ იყოს, ცოცხალია კაცი, მაგრამ საქმე საქმეა...
ზეინაბი. *(მორჩილად და სევდიანად)* კი...
ნოდარ მუხიგული. ხოდა... *(ფეხზე დგება)* ახლა უყურეთ, რა სურათია. ჩვენს დიდ მეცნიერს, მათემატიკოს ვიქტორ ანჩაბაძეს გულის შეტევა მოუვიდა გასულ კვირას და ამჟამად რეანიმაციაშია. ორიოდე დღის წინ პირველი მდივანი მივიდა კლინიკაში და ბატონი ვიქტორის მეუღლისგანაც ანალოგიური წინადადება, უფრო სწორად, თხოვნა მიიღო…
ზეინაბი. *(ძლივს ფარავს განრისხებას)* პანთეონის შესახებ?

ნოდარ მუხიგული. დიახ.
ზეინაბი. მთაწმინდა?
ნოდარ მუხიგული. კი.
ზეინაბი. *(გაოცებულია)* კაცო, ცოცხალია ადამიანი, რა დროს ამაზე ლაპარაკია?

პაუზა.

და ღმერთმა კიდევ დიდხანს გვიცოცხლოს!

პაუზა.

ნოდარ მუხიგული. ექიმები ყველაფერს აკეთებენ ბატონი ვიქტორის გადასარჩენად, მაგრამ ვაგლახ, დამამშვიდებელი სურათი ნამდვილად არ არის. თან პატარაც არ გახლავთ - შარშან აღვუნიშნეთ ოთხმოცდახუთი წლის იუბილე.
ზეინაბი. კი, კოტე ცხრაასიანია, ეგ ოთხი წლით უმცროსია ჩემ ქმარზე...
ნოდარ მუხიგული. მოკლედ, ვერ უთხრა უარი პირველმა მდივანმა ქალბატონ ვერას... მოგეხსენებათ, ეს ქალიც არაა სპორტსმენის ჯანმრთელობის - გაჟონვა მოუვიდა სამი წლის წინ და *(მარჯვენა ხელზე იდებს მეორე ხელს)* სულ წაერთვა ეს მხარე...

პაუზა.

ზეინაბი. *(გაბრაზებულია)* ნოდარ, რა გითხრათ, აბა, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ და ხალხმა... არ მინდა უტაქტოდ გამომივიდეს, მაგრამ კოტეს სახელი, კოტეს დონე და როლი განუზომლად დიდია ჩვენი რესპუბლიკისთვის, ვიდრე თუნდაც ისეთი წმინდა და ლამაზი კაცის, როგორიც საწყალი ვიქტორია. კარგად გამიგეთ... იმდენი სიკეთე ახსოვს ჩემს ოჯახს ანჩაბაძეებისგან...
ნოდარ მუხიგული. *(აწყვეტინებს)* არ მინდა, გასაგებია... უცხო ხომ არ ვარ! ვიცი…
ზეინაბი. ავწონ-დავწონოთ, შევადაროთ... რა ვიცი - კიდევ როგორ ვთქვა - სანდრო, ამოიღე ხმა, სისულელეებს ვამბობ!

სანდრო. *(შეცბება - ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს, შუბლს იმშრალებს)* არ მიფიქრია ამაზე, არ ვარ ჩამოყალიბებული...

ნოდარ მუხიგული. პრობლემაა ისაა, რომ პირობა პანთეონში დაკრძალვაზე პირველმა მდივანმა მისცა - გადაწყვეტილება ცენტრალურ კომიტეტში უნდა მიიღონ.
ზეინაბი. ჩვენთან არ მოვიდა და...
ნოდარ მუხიგული. მოვა.

პაუზა.

პირველ მდივანზეც უნდა ვიფიქროთ, ხალხო, ეს კაციც არ უნდა ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში.
ზეინაბი. პატრიარქთანაც გახლდით.
ნოდარ მუხიგული. კარგია. ნებისმიერ შემთხვევაში მოვძებნით ჩიხიდან გამოსვლის გზას. არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა.
ზეინაბი. ორივე მთაწმინდაზე რომ დაიკრძალოს?
ნოდარ მუხიგული. ესეც პრობლემაა. ოფიციალურად ორმოცდაათი წლის წინაა ეს პანთეონი დაკეტილი. ანუ ადგილი აღარც არის პრაქტიკულად. მიწა არ არის, ასე ვთქვათ. ვერტიკალურად ხომ ჩარგავ ადამიანს!
სანდრო. *(შიშით)* როგორ?
ნოდარ მუხიგული. უკაცრავად... ცოტა მკვეთრად გამომივიდა. მაგრამ ხომ გამიგეთ, რა ვიგულისხმე?
ზეინაბი. არის ადგილი! ზუსტად ვიცი.
ნოდარ მუხიგული. მთაწმინდაზე, ქალბატონი ზეინაბ?
ზეინაბი. დიახ! ხომ ააფეთქეს ფილიპე მახარაძის საფლავი? ახლა ორმოა იქ, აღარაფერია დარჩენილი, ცარიელი სულ…
ნოდარ მუხიგული. ქვას მაინც დადებენ, ქალბატონო ზეინაბ, *(ფანჯრისკენ იყურება)* ამათ ჭკუაზე ხომ არ ვივლით! ამათნაირი ვანდალები ნამდვილად არ ვართ.
ზეინაბი. და ნუ დადებთ თქვენც კიდე! რა შუაშია აქ ვანდალიზმი! თქვენი გადასაწყვეტი არ არის? ორი კინკილა ძვლის მეტი მანდ არც არაფერი იქნებოდა და ახლა, ამ აფეთქების მერე, ალბათ, სულ ნაცარტუტად იქცა. არც ვიცი, სიმბოლური საფლავების კეთება თუ შეიძლება მთაწმინდაზე? ტყუილად რატომ უნდა დაიკარგოს, კაცო, ეს ადგილი! ქვეყანა მიწები გვაქვს სიმბოლური საფლავებისთვის... იგივე "ბორის ძნელაძეში", მაგალითად... ხომ იწვა ამ მიწაში თითქმის ნახევარი საუკუნე? დაუთმოს ახლა მომდევნო თაობებს. *(სანდროს ხელს ურტყამს)* სანდრო, თქვი რამე! *(აღელვებული იცინის)*
ნოდარ მუხიგული. არა უჭირს. ეს ვერსია, არ დაგიმალავთ, ჩვენც განვიხილეთ. შესაძლოა მართლაც სჯობდეს ამ მონაკვეთის შეუვსებლად დატოვება. ხალხიც არ გაღიზიანდებოდა. *(დათრგუნულად)* მაგრამ ერთი ადგილი ორს მაინც არ ეყოფა.

პაუზა.

სანდრო. თავფეხშექცევით რომ დავმარხოთ?

(იცინის - ნოდარ მუხიგული და ზეინაბი გაბრაზებული სახეებით შეხედავენ, სანდრო დუმდება და სერიოზულ გამომეტყველებას იბრუნებს, თვალებს ხუჭავს და ნერვიულად აქნევს თავს) უკაცრავად.

პაუზა. ნოდარ მუხიგული ოთახში გაივლ-გამოივლის. შემდეგ ფანჯარასთან მიდის.

ნოდარ მუხიგული. მეორე დღეა, აქ დგანან. ეზოდან შემოვდივარ სამსახურში. ზეინაბი. ჩვენც ძლივს მოვედით. აღარ დაიღალენ, კაცო!

პაუზა. ნოდარ მუხიგული ზეინაბსა და სანდროს უახლოვდება და მათ სკამებთან იხრება.

ნოდარ მუხიგული. *(ხმადაბლა)* ერთ რჩევას მოგცემთ. *(ფანჯრისკენ იხედება)* ამათ დაელაპარაკეთ... ეროვნულებს. მიტინგზე აქონ. ხალხი შეამზადონ. ერთი მათი ტაში და მორჩა, ჩვენც გაგვხსნება ხელ-ფეხი. ვიტყვით - ხალხმა მოითხოვა. ასე აჯობებს.
ზეინაბი. *(შემცბარი და დაბნეულია - ფანჯრისკენ იყურება)* ამათ? *(მცირე პაუზა)* სანდრო, თქვი... *(მინისტრს)* არავის არ ვიცნობ.
ნოდარ მუხიგული. მიტინგზე სულ ბატონი კოტეს "შოშიებს" მღერიან.
ზეიბანი. მართლა?
ნოდარ მუხიგული. კი, მოგვდის ინფორმაცია.

პაუზა.

ზეინაბი. *(დაზაფრულია)* არ ვიცი... ელისოს უნდა ვუთხრა, კოტეს ძმიშვილს, დღე და ღამე მიტინგებზეა.

ნოდარ მუხიგული თავის ადგილს უბრუნდება, მაგიდის ცენტრში.

ნოდარ მუხიგული. თუ არა და, პირველი ვინც აღესრულება, მაგ ადგილს სწორედ ის დაიკავებს. *(მცირე პაუზა)* სპორტული წესით.

პაუზა.

ზეინაბი. ოჰ, ყველაფერი დასწრებაზეა ამქვეყნად.

მეოთხე ეპიზოდი

კარდიოლოგიური კლინიკა. პალატა N 101. მათემატიკოსი ვიქტორ ანჩაბაძე საწოლში წევს და ექთნის ხელიდან მიირთმევს სუპს. კისერზე თეთრი წინსაფარი უკეთია. აცვია ზოლიანი პიჟამო, ხოლო ცხვირზე სქელჩარჩოიანი და მსხვილშუშიანი სათვალე აქვს ჩამოცმული. ერთი შეხედვით, საკმაოდ მხნედ გამოიყურება.

ექთანი. ენა ხომ არ დაგეწვათ, ბატონო ვიქტორ?
ვიქტორ ანჩაბაძე. *(ტუჩებს ენით ისველებს; ომახიანად, რადიოდიქტორივით დაყენებული ხმით)* არა, გენაცვალე, დიდებულია!

ექთანი. ბულიონი უფრო მოგეწონათ...
ვიქტორ ანჩაბაძე. *(იმავე რიხით)* კი, მაშასადამე, შესანიშნავი იყო სრულიად!

ექთანი იცინის, განაგრძობს ვიქტორ ანჩაბაძის ჭმევას.

პაუზა.

პალატაში მხერბზე ხალათმოხურული ვერა ანჩაბაძე-ედისონი და ზეინაბ უნგიაძე შემოდიან. ზეინაბს ვარდების თაიგული უჭირავს. ვერას აშკარად ეტყობა დამბლის ნიშნები - ცალი ხელი უმოძრაოდ ეკიდება.

ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(თავი უნუგეშოდ უქანქარებს პარკინსონისგან - ქმარს მიმართავს)* ვიკი, ნახე, ვინ მოგიყვანე!

ვიქტორ ანჩაბაძე გაბრაზებული სახით მიაშტერდება ზეინაბს. ვერა - საზეიმოდ:

უნგიაძე! *(მცირე პაუზა)* კოტეს ზეინაბი!
ზეინაბი. *(კეკლუცად, ვიქტორს)* ჰა, ბიჭო, არ გადამრიო ახლა!
ვიქტორ ანჩაბაძე. *(სახე უნათდება)* ოჰ! უნგიაძე! ჩემი ზეინაბი!

იცინიან.

ზეინაბი. *(იცინის)* აჰა, ყოჩაღ! *(ვერას)* კოცნა შეიძლება?
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. ტუჩებში - არა. *(იცინის)*
ვიქტორ ანჩაბაძე. ლოყაზე, მაშასადამე, კი.

ზეინაბი თაიგულს ვიქტოროს ფეხებთან დებს. ექთანი წინსაფარს ხსნის მეცინიერს. ზეინაბი ფეხისწვერებზე იწევა (საწოლი მაღალ ფეხებზე დგას) და ვიქტორს ლოყაზე კოცნის. ვიქტორი ჟინიანად გამოწევს აცახცახებულ და შელურჯებულ ტუჩებს.

ზეინაბი. *(ლოყაზე უჩქმეტს ვიქტორს)* რა გინდა შენ საავადმყოფოში? პატარა ბიჭივით ხარ, რა გულს გვიხეთქავ!
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ზეინაბს)* აი ეგრეა, გენაცვალე! იძახა: ხარივით ჯანმრთელი ვარ, ხარივით ჯანმრთელი ვარ და აჰა, ბრახ - მაინც დაარტყა!
ვიქტორ ანჩაბაძე. მაშასადამე, ოთხმოცდაექვსს მივუკაკუნე... აღარ იყო დრო?
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(რის ვაივაგლახით ჯდება სავარძელზე)* სიბერეს ნუ აბრალებ! კარგი ძმაკაცები რომ გყავს, მაგის ბრალია.
ზეინაბ უნგიაძე. *(შეშფოთებული)* რა ხდება, არაფერი არ ვიცი.

ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ტანსაცმელს ისწორებს)* ჰო, აი თვითონ მოგიყვეს...
ვიქტორ ანჩაბაძე. არაა, მაშასადამე, საინტერესო...
ზეინაბი. ვაი, დაიწყეთ და აღარ ყვებით? *(იცინის)* მე ეგრე არ ვთამაშობ!
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. ვეუბნებოდი: არ გინდა, არ გინდა. აიჩემა მაინც თავისი და *("მოძრავ" ხელს იქნევს საწოლისკენ)* აჰა, ბატონო, შედეგს კი ხედავ!
ექთანი. ორ წუთში შემოვალ და ფისი ვქნათ, ბატონო ვიქტორ.
ვიქტორ ანჩაბაძე. *(ბეჯითად)* უსათუოდ.

ექთანი გადის.

ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ხმადაბლა)* მოადგნენ იმ დღეს სტუდენტები და *(გაღიზიანებული პროდირებს)* "ბატონო ვიქტორ, ბატონო ვიქტორ..."
ვიქტორ ანცაბაძე. *(ჭერში იყურება - ხმამაღლა)* მაშასადამე, ფილოლოგები იყვნენ ძირითადად.
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ზეინაბს, მკაცრად)* ჰო! და არა მათემატიკოსები! ნუ, მოკლედ, ასე *(ისევ ზიზღით ბაძავს)* "ბატონო ვიქტორ, ბატონო ვიქტორ..."
ზეინაბი. რა, გამაგებინე?
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. მიტინგზე წაიყვანეს!
ზეინაბი. *(გაოცებულ-აღტაცებული)* მიტინგზე?
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. მეთქი, კარში ჩავწვები, მაგრამ აი ასე გადამაბიჯა და წავიდა... *("მოქმედ" ხელს აუქნევს ვიქტორს, თითქოს შეუკურთხავს)*
ვიქტორ ანჩაბაძე. *(კვლავ ჭერს მიშტერებია)* მაშასადამე, ამ ახალგაზრდებთან ერთად აკადემიკოს ღვამიჩავას შვილიშვილი იყო მოსული და ვერ ვუთხარი უარი -
1952 წელს პაპამისმა დამიჭირა მხარი, თორემ უსათუოდ გამრიცხავდნენ მეცნიერებათა აკადემიიდან და მერმე, რა იცი, ეგებ დავეჭირეთ კიდეც: ბურჟუაზიულ თეორიად მიიჩნიეს ჩემი "სათითური ტაბულა". ვერ დავუვიწყებ ამ ამაგს. სტალინი ჯერ კიდეც ცოცხალი მაშინ.
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. ტყუილი! გამოსვლა უნდოდა და ამიტომ წავიდა! ბრბო მოენატრა, ბრბო...
ზეინაბი. *(ვერას - სიცილით)* ჰო, კარგი, რა მოხდა, ახლა ყველა მიტინგზე გამოდის.
ვიქტორ ანჩაბაძე. *(ჭერს უყურებს)* მაშასადამე, უაღრესად ინტელიგენტი ხალხი დამიხვდა...
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ზეინაბს - ბრაზითა და ნიშნისმოგებით)* ხოდა მეორე დღიდან ჯლიგინ-ჯლიგინით რომ წამოვიდა "კომუნისტის" სტატიები, აი მერე კი, ბოდიში, გაახსენდა კარში ჩაწოლილი ვერა... პამფლეტები, კარიკატურები, მოსახლეობის წერილები... შენ არ იცი, რეები დაწერეს! *(მათემატიკოსის მტრებს პროდირებს)* "საბრალო მეცნიერი სკლეროზით დაავადდა - ეგონა, ლექციაზე მოხვდა, სინამდვილეში, ნარკომანთა და

გარყვნილთა მასაში ამოყო თავი..." კოშმარი, ნუ, რაღაც! *(კვლავ პაროდირებს)* "მანდ მისვლას გიჯობდა პანთეონში წოლილიყავი..."
ზეინაბი. *(შეცბება)* აჰ!
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ჩურჩულოზე გადადის)* ხელისმომწერები: მირცხულავა, კოტრიკაძე, ფაღავა, ამისულაშვილი... ყველა, ყველა! ნაგვები...
ვიქტორ ანჩაბაძე. *(ჭერში იყურება)* მაშასადამე, ჩემს მეტი ვერავინ გაბედა იქ მისვლა. შეშურდათ.
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. შენ ხომ მოგკლეს, მთავარი ესაა!
ზეინაბი. *(ვერას)* კარგი, კაცო, რატოა მკვდარი, მშვენიერ ხმაზეა და ფერიც გადასარევი აქვს.
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(წყენით)* მკვდარია, ზეინაბ, აბა, რა არის! ცოცხალია ახლა ეს?
ზეინაბი. ვაიმე, ისე ცუდადაც ნამდვილად არაა, როგორც მიხატავდნენ. მე მგონი, მშვენივრად გამოიყურება. რა ვიცი...
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. არა, გენაცვალე, არ არის კარგად, მე ხომ ვხედავ! ძალიან ცუდად არის, ძალიან!
ზეინაბი. *(ნიშნისმოგებით)* ამეტებ, იცი!
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. რას ვამეტებ, ქალო, შეხედე!
ზეინაბი. ნუ ზაფრავ ამ კაცს და შენ თავსაც ნუ არწმუნებ, რომ ცუდადაა, გაიგე?! არ შეიძლება ეგრე!
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(გაწიწმატდება)* რა დარწმუნება მინდა! შეხედე - მკვდარია კაცი.
ვიქტორ ანჩაბაძე. *(ჭერს მიშტერებია)* მაშასადამე, პირნათელი ვარ ცხონებული ღვამიჩავას წინაში - არ ვუმტყუნე მის შთამომავალს. პაპამისივით ნიკოლოზი ჰქვია ამ ყმაწვილსაც. *(მცირე პაუზა)* ნიკა, ასე ვთქვათ.

პაუზა.

ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ხმადაბლა, ზეინაბს)* ბოდავს, ქალო... ცოცხალი ქვია ახლა ამას?
ზეინაბი. *(უკმაყოფილოდ)* ოჰ!

შემოდის ექთანი.

ექთანი. აბა, დეიდებო, დაგვტოვეთ, საქმე გვაქვს მე და ძია ვიქტორს!
ვიქტორ ანჩაბაძე. *(გახარებულია)* მოდი, ნანულიკო, მოდი, გენაცვალე...

ზეინაბი დგება.

ზეინაბი. ნახე, როგორ აჟღურტულდა! *(იცინის)*
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. ეჰ, ნეტა მართლა ჟღურტულებდეს...
ზეინაბი. *(ვერას)* რა გინდა, გენაცვალე, ცეკადან მოსულან, ბოდიშიც მოუხდიათ...

ვერა ანჩაბაძე-ედისონი. ვინ გითხრა?
ზეინაბი. *(კეკლუცად)* ჩიტმა მომიტანა ამბავი.
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ვითომ ზიზღით, სინამდვილეში, ნიშნისმოგებით და ამაყად)* ჰო, დაგვდო, ბიჭმა, პატივი - გვეახლა. გვირგვინი მოუტანა.
ზეინაბი. *(არ ესიამოვნება)* გვირგვინი რა უბედურებაა...
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. მოიცა, რა... ერთი ხელით გკლავენ, მეორეთი გეფერებიან. ზეპირად ვიცი ამათი მეთოდები.
ზეინაბი. *(მათემატიკოსს; ხალისიანად)* შენ არ შეგეშინდეს, ვიქტორ! მაგრად იდექ! *(იცინის)*
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. გოგო, კოწიკა როგორ არის? სულ მე ვქაქანებ, გამოვშტერდი...
ზეინაბი. *(შეკრთება)* კოტე? *(მცირე პაუზა - ხელს ჩაიქნევს)* უჰ...
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(შეშინდება)* რა?
ზეინაბი. *(უცებ მოიწყენს)* რა *რა,* ვერა... ცუდად. ძალიან ცუდად. *(ამოიკვნესებს)* რა გითხრა, აბა, ბოლო წუთებს ვითვლით...

პაუზა.

ექთანი. დეიდებო, ცოტა ხნით დაგვტოვეთ - საქმე გვაქვს მე და ძია ვიქტორს.
ვერა ანჩაბაძე-ედისონი. *(ზეინაბის სიტყვებზე გაღიზიანებული, ექთანზე იყრის ჯავრს)* რა შემჭამე, ქალო! გგონია, არ მინახავს, როგორ ფსამს!

მეხუთე ეპიზოდი

შუადღე. ზეინაბი და ელისო მთაწმინდის პანთეონში სეირნობენ.

ზეინაბი. გადასარევად გრძნობს თავს. ასე კარგად მე და შენ არ ვართ. სრულ ჭკუაზეა და ლაპარაკობს, მეტი რა უნდა. თან, იცი, რამხელა ხმით? რადიო გეგონება.

ელისო ჩუმად ხითხითებს, პირზე ხელს იფარებს, ერთმანეთს მხრებით ეკრობიან. ზეინაბი აქეთ-იქით იყურება, ვინმე ხომ არ გვხედავსო.

ჩუმად, ქალო, სირცხვილია...

ზეინაბი შლაპას ისწორებს, სერიოზულ და მკაცრ გამომეტყველებას იღებს.

სად კოტეს ფიზიკური მდგომარეობა და სად ვიქტორის. როგორ შეიძლება აქ ტოლობის ნიშნის დასმა! ასე, როგორც დღესაა ვიქტორი, საწყალი ჩემი ქმარი თხუთმეტი წლის წინ იყო...

მისეირნობენ საფლავებს შორის.

ელისო. *(ამოიკვნესებს)* ღმერთო, მაპატიე თუ გცოდავ, მაგრამ არ უვლიდა ბიძაჩემს ის ქალი, არ ედგა გვერდში სათანადოდ. პატარა ვიყავი, მაგრამ მეც კი ვხედავდი, ზეინაბ.

პაუზა.

ზეინაბი. *(საფლავებზეა კონცენტრირებული)* რა გითხრა, აბა... სიბრძნე უნდა ყველაფერს.
ელისო. არ იყო ეგ ქალი ბიძაჩემის ცოლობის ღირსი...

პაუზა.

ღმერთმა აცხონოს მისი სული.

პაუზა.

ზეინაბი. *(ჩერდება - ელისოს საფლავებს შორის არსებულ პატარა სივრცეზე უთითებს)* ვერ დაეტევა ახლა აქ ერთი კაცი?
ელისო. *(საქმიანად აფასებს ადგილს)* ვაიმე, როგორ არ დაეტევა! ერთიც დაეტევა და ორიც.
ზეინაბი. *(უკმაყოფილოდ)* გადამრევენ ესენი, ადგილი არ არისო. ეს რა არის, აბა!

ელისო სხვა საფლავთან ჩერდება.

ელისო. აი, აქაც, ხესთან...
ზეინაბი. აბა?
ელისო. აი...
ზეინაბი. მანდ მარტო ვერტიკალურად თუ ჩადებ.

ჩუმად ხითხითებენ. ზეინაბი პირზე ხელს აფარებს ელისოს.

ჩუ, ქალო!

აგრძელებენ გზას. ინტერესით სწავლობენ თითოეულ მონაკვეთს. ზეინაბი ერთ-ერთ საფლავთან ჩერდება.
ნიშნისმოგებით:

რა უნდა ახლა ამას აქ?
ელისო. *(მოირბენს)* ვინაა?
ზეინაბი. *(საფლავის წარწერაზე უთითებს)* წაიკითხე.

ელისო. *(დამარცვლით კითხულობს)* გენერალ... მაიორი... კოტრი... კაძე... *(ზეინაბს გაკვირვებული შეხედავს - ეღიმება)* ეს ვინ ოხერია?
ზეინაბი. *(მხრებს აიჩეჩავს; ნიშნისმოგებით)* ვიცი? ან ვის ახსოვს...
ელისო. ადგილს აფუჭებს.

გზას აგრძელებენ.

ზეინაბი. *(ხელს მოავლებს საფლავებს)* ამ რიგს სულ ამოვყრიდი.
ელისო. *(საფლავების ამ რიგს ზიზღით ჩაივლის)* მეც, უეჭველად.
ზეინაბი. აბსოლუტურად ზედმეტია. კაციშვილი აღარ კითხულობს ამათ წიგნებს.

ელისო ერთ-ერთ საფლავთან ჩერდება.

ელისო. *(ხმადაბლა; ზიზღით)* რა უნდა ბალერინას პანთეონში!
ზეინაბი. *(შეხედავს ელისოს მიერ "აღმოჩენილ" საფლავს - ჩურჩულით)* თან - ბოზს!

ელისო ხითხითებს, თუმცა მალევე ჩუმდება. ზეინაბი წინ მიიწევს. რომელიღაც საფლავთან ჩერდება - ღიმილით, ალერსიანად:

ეს მიყვარს. ეს *ჩემია.*
ელისო. *(მოირბენს - საფლავს დაჰყურებს, თბილად)* კი. ეკუთვნის ნამდვილად.
ზეინაბი. *(დეკლამირებს) რად სწუჰხარ გული ე მაგ მშფოთვარე სულში...*
ელისო. *(სიყვარულით დაჰყურებს საფლავს)* ეჰ, კარგია, კი... *(ვაზაში ჩადებულ მიხაკსაც შეასწორებს)*
ზეინაბი. დედაჩემი მიკითხავდა ხოლმე ბავშვობაში...
ელისო. მეც, ზუსტად... *(მცირე პაუზა)* ცოლიც მიუწვენიათ.
ზეინაბი. *(ინტერესით)* აბა?
ელისო. აი. *(მცირე პაუზა)* ურნაა, მგონი.
ზეინაბი. *(იხრება საფლავთან)* კი, ურნა უნდა იყოს. კუბოს რას ჩაატევ.
ელისო. პატარა კუბოები იყო მაშინ - დაბალი იყო ხალხი.
ზეინაბი. *(მკაცრად)* კარგი, ელისო, რა სისულელეა, ლილიპუტი კი არ ყავდა ცოლად.
ელისო. არა, ზეკო, არ იზრდებოდა ხალხი სიმაღლეში. ზუსტად ვიცი. საკვები არ ჰქონდათ სათანადო.
ზეინაბი. ორი მეტრი იყო, ქალო, გორგასალი, დილიდან საღამომდე ნანადირევის ჭამაში იყვნენ.
ელისო. მე ჩვეულებრივ ხალხზე ვამბობ...
ზეინაბი. *(საფლავს დახედავს)* ეს *ჩვეულებრივია?* კარგი, რა. *(მიდის)*

განაწყენებული ელისო ბურტყუნ-ბურტყუნით მიყვება უკან.

ზეინაბი შავი მარმარილოს ქვით ნაშენ საფლავთან ჩერდება. ელისოს:

ამას შეხედე.
ელისო. *(უახლოვდება)* ჰო... ვინაა?
ზეინაბი. *(ნიშნისმოგებით)* სტალინის დედა.
ელისო. *(ხმადაბლა)* უი, ეს არც მახსოვდა, აქ თუ იყო. *(ხითხითებს)*

უყურებენ საფლავს.

ზეინაბი. *(ზიზღით, ხმადაბლა)* სამი კაცის ადგილს იკავებს.
ელისო. *(საქმიანად)* მეტის. ხუთ კაცს ჩაატევ.

ზეინაბი უკამოყოფილოდ იქნევს თავს, თუმცა არაფერს ამბობს. საფლავს სცილდებიან. ზეინაბი ნაბიჯს უჩქარებს. ჩერდება ერთ-ერთ რიგთან.

ზეინაბი. ელისო, მოდი!

ელისო ქოშინით მორბის.

აი, ეს ადგილია.
ელისო. *(დაჰყურებს ცარიელ ადგილს)* რა ადგილი?
ზეინაბი. *(ხმადაბლა)* აქ ააფეთქეს.
ელისო. *(პირზე ხელს იფარებს)* ვაი! *(ინტერესით ათვალიერებს)* აჰაა...
ზეინაბი. რა, ცუდია?
ელისო. გადასარევია, კაცო, რას ამბობ! ოღონდ ერთ ცალზეა.
ზეინაბი. შენი ჭირიმე, რაც არის, ისიც კარგია. რას დავეძებ ერთი!
ელისო. ცოლი არ ყავდა ამ უბედურს?
ზეინაბი. კი, ალბათ. არ ვიცი. *(ათვალიერებს მიდამოს)* მაგრამ არა მგონია, აქ დაემარხათ.
ელისო. მაგასაც ააფეთქებდნენ! *(ხითხითებს)*
ზეინაბი. ცოლი რა შუაშია...

პაუზა.
ელისო. *(იხრება, მიწას ხელით სინჯავს)* ნეტა ძვლები თუ ამოიყარა?
ზეინაბი. რატომ უნდა ამოყრილიყო?
ელისო. ბომბს მიწაში ჩამარხავდნენ...
ზეინაბი. *(იცინის)* ჯანდაბა მაგათ!
ელისო. კუბო გასკდებოდა.
ზეინაბი. *(ხელს აუქნევს)* სადღა იქნებოდა, ქალო, კუბო, ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული!
ელისო. დაიჭირეს ვინმე?
ზეინაბი. ვერ იპოვეს, მგონი.

ელისო. ღამით შემოიპარებოდნენ...
ზეინაბი. ვინ აფეთქებს, ელისო, დღისით საფლავებს!
ელისო. ჩვენ კი კარგი საქმე გაგვიკეთეს და... *(ხითხითებს)*
ზეინაბი. აქეთაც ვნახე ერთი კარგი ადგილი, წამოდი... *(მიდის)*
ელისო. მოიცა, მოვიდა!
ზეინაბი. *(ჩერდება)* აბა?

საფლავებს შორის პირქუში გარეგნობის მქონე, წვერ-ულვაშიანი მამაკაცი მოდის.

ესაა?
ელისო. *(უღიმის მათკენ წამოსულ მამაკაცს)* კი.

კაცი ელისოსა და ზეინაბს უახლოვდება.

ელისო. გამარჯობა, თემურ. როგორ მოგვაგენი? *(იცინის)*

კაცი ხელს ართმევს ელისოსა და ზეინაბს. ელისო ზეინაბსა და მოსულს ერთმანეთს აცნობს:

ქალბატონი ზეინაბ უნგიაძე... თემური - სახალხო ფრონტის გე... *(შეგორძიკდება)*
თემური. ...აღმასრულებელი საბჭოს წევრი.
ელისო. *(ბეჯითად გაიმეორებს)* აღმასრულებელი საბჭოს წევრი. ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი! *(უხერხულად იცინის - მცირე პაუზა - მშვიდდება)* აჰა, როგორც იქნა, შეგახვედრეთ ერთმანეთს.

ზეინაბი და ელისო თავს უხერხულად გრძნობენ. ზეინაბმა არ იცის, როგორ დაიწყოს თემურთან საუბარი... მძიმე პაუზაა.

მეექვსე ეპიზოდი

ოთახი, სადაც კომპოზიტორი კონსტანტინე უნგიაძე წევს. ჟანგბადის ბალონზე მიერთებულ მუხუცს თითქმის მასსავით ხნიერი მომვლელი ქალი (ნაირა) უტრიალებს გარშემო - მტვერს წმენდს როიალიდან, თაროებიდან და ა. შ. ერთი-ორჯერ ბალონსაც წამოსდებს ფეხს - კომპოზიტორიც მაშინვე წამოიკვნესებს. სანდრო სავარძელზეა ჩამომჯდარი და ხელში პატარა ჭიქა უჭირავს, წინ, დაბალფეხებიან მაგიდაზე, კონიაკის ბოთლი უდევს. ოთახში ენერგიულად შემოდის ზეინაბი.

ზეინაბი. აბა, როგორია გუნება-განწყობა? *(შეხედავს კონსტანტინეს)* ეს სუნთქავს? *(მცირე პაუზა)* კი. *(ნაირას)* ჭამა რამე?
ნაირა. ბულიონი დავუსხი, მაგრამ პირი არ დააკარა. აი, აგერ დევს.

ზეინაბი. *(დაუფიქრებლად)* გასაგებია. *(მცირე პაუზა)* მოკლედ, ეს კაცი დღითი-დღე მძიმდება, რა... *(ხედავს სანდროს)* ვა, სანდრო, აქა ხარ? ვერ დაგინახე... *(ხალისიანად)* რას შვრები?

სანდრო მაღლა აწევს ჭიქიან ხელს.

სვამ, კაცო? მერე შენთვის შეიძლება? დავურეკო ახლა შენ ცოლს?

მოდის მაგიდასთან, იღებს კონიაკის ბოთლს.

უყურე ამას, ნახევრამდე ჩაუცლია. *(ბოთლს ნაირას აძლევს)* მომაშორე ეს აქედან.
სანდრო. *(ჭიქა სახესთან მიაქვს, ცალ თვალს ჭუტავს)* არ მელაპარაკება.
ზეინაბი. რა თქვი? *(ნაირას)* გეყოფა, ნუ, ფეხებში მებლანდები უკვე. ვინ არ გელაპარაკება, სანდრო?
სანდრო. მამა არ მელაპარაკება.
ნაირა. *(ზეინაბს)* არ მოვხვეტო?
ზეინაბს. ხვალ მოხვეტავ. *(კონსტანტინეს საწოლთან მიდის - სანდროს)* როგორ დაგელაპარაკება, აბა, ამას თუ არ მოხსნი? *(ჟანგბადის ნიღაბს აძროობს კომპოზიტორს - ღიმილით)* აი... ჭი-ტა!

ნაირა ბუზღუნით გადის.

სანდრო, მოდი, რა, გეხვეწები... ნახე, როგორ მიღიმის.
სანდრო. *(წამოიწევს, თუმცა უკან ჯდება; დაძაბულია)* ჰო, გიღიმის... ეს ცუდია, თუ კარგი?
ზეინაბი. *(უყვირის კონსტანტინეს)* არ დაელაპარაკები შენ შვილს?
კონსტანტინე უნგიაძე. *(ისტერიულად)* ომში დაკარგა ცალი ფეხი...
ზეინაბი. *(უყვირის კონსტანტინეს)* სანდროა აქ, შენი ვაჟი! ორივე ფეხი თან აქვს. არაფერი არ დაუკარგავს.
სანდრო. *(ჭიქას მაგიდაზე დებს, ხელებს ყურებზე იფარებს, თვალებს ხუჭავს)* საფეთქლები მიცემს...
კონსტანტინე უნგიაძე. ცალი ფეხი მოაჭრეს ომში...
ზეინაბი. ო, კოტე, დაიხჩობი მასე! არ გინდა ლაპარაკი და ნუ გინდა. *(უკეთებს ჟანგბადის ნიღაბს)*
სანდრო. *(თვალებს ახელს)* დაიხრჩო?
ზეინაბი. *(მოდის სანდროსკენ)* ვინ დაიხრჩო?
სანდრო. *(დაფეთებული)* რა დაემართა?
ზეინაბი. ვაიმე, არაფერი, სანდრო, ნუ ღელავ. *(ჯდება სავარძელზე, სანდროს წინ; დუმილის შემდეგ)* პანთეონში ვიყავი. ელისომ თავის ერთ ნაცნობს შემახვედრა. *(ხმადაბლა)* ეროვნულს.
სანდრო. *(შიშით)* ვის შეგახვედრა?
ზეინაბი. *(კარზე უთითებს)* არ მინდა, ნაირამ გაიგონოს...
სახალხო ფრონტის წევრს...

სანდრო. *(დაფიქრდება; ზიზღით)* აჰა... გასაგებია...
ზეინაბი. აუვუხსენი სიტუაცია. მეთქი, უკაცრავად, მეუბნებიან - მიტინგებზე მღერიან და მთელი ამბავია, ხოდა ახლა ცოტა ჩვენ დაგვეხმარეთ-მეთქი *(დაღლილი ამოისუნთქავს)* რა ვიცი, ნორმალური ბიჭი ჩანდა. *(მცირე პაუზა - ხელს მუცელთან იდებს)* ოღონდ აი წვერი. მღვდელივით. *(იცინის)* თან დაუბანელი. *(იჭყანება)* ფუჰ! *(მცირე პაუზა; თვალებს ხუჭავს, თავს სავარძლის საზურგეს ადებს)* დავიღალე.

პაუზა.

სანდრო. *(დაზაფრული უყურებს ზეინაბს)* შენ მამას სიკვდილს ელოდები.

ზეინაბი თავს წევს. პაუზა.

შენ მამას სიკვდილზე ოცნებობ. ასეა თუ არა?

პაუზა.

ზეინაბი. *(საყვედურით; თვალები უცებ ევსება ცრემლებით)* სანდრო, რეებს მეუბნები, როგორ არ გრცხვენია...
სანდრო. უკაცრავად, არ არის ასე? ვცდები?

ხანგრძლივი დუმილი.

ზეინაბი. *(ცდილობს, არ იტიროს; ამაყად)* სანდრო, მე და შენ არასდროს გვისაუბრია სერიოზულად. ამ დროს, ფაქტობრივად, ერთი თაობის ხალხი ვართ. სამი თუ ოთხი წლით უფროსი ვარ შენზე, ხომ არ მეშლება? *(ნიკაპი უკანკალებს - ღირსების შეგრძნებით)* ოცდარვა წელია მონად ვუდგავარ მამაშენს. *მონად* - ამას ხაზს ვუსვამ. მე უარი ვთქვი ჩემს კარიერაზე, ჩემს მშობლებზე, ჩემს სამეგობრო წრეზე... შვილებზე. როცა მამაშენს გავყევი ცოლად, ბოდიშს გიხდი ამგვარი დეტალის განდობისათვის, მაგრამ მას უკვე აბსოლუტურად გაწყალებული ჰქონდა სპერმა. არა უშავს, - მე ვთქვი, - არ მინდა შვილები, მე მინდა ეს კაცი, მეტი არავინ. მიპასუხე, გაუგონია თუ არა ოდესმე ჩემი წუწუნი რომელიმე თქვენგანს? ჩემი მცირე დაჩივლება მაინც? არა. არც ერთხელ! მე მორჩილად, ერთგულად და სიყვარულით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ჩემო კარგო, შენ ხედავ, ახლაც მე ვაკეთებ "შავ საქმეს", ახლაც მე ვარ ამაზრზენი და ბოროტი, თორემ თქვენ რა, თქვენ თეთრ ხელთათმანებში დაბრძანდებით აქეთ-იქით და მე მლანძღავთ - რა, გგონია, არ ვიცი, რეებს ლაპარაკობთ ჩემზე ჩემსავე ზურგს უკან - "კაცს ცოცხლად მარხავს, კაცი არ მომკვდარა და უკვე საფლავში დებს"... მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს! მე ზუსტად ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს ძალიანაც კმაყოფილები დარჩებით, როცა ამ საქმეს გვირგვინი დაედგმება. მერე ამაყად ივლი პანთეონში. შვილიშვულებსაც აიყვან. ეტყვი: "აი, ბაბუს

საფლავი!" მადლობა კი ვის? არავის. უფრო სწორად, ეს ცუდ ბებოს. მაგრამ მე არ მჭირდება, სანდრო, მადლობა; მშვენივრად მომეხსენება, რაც მევალება და შესაბამისადაც ვმოქმედებ. უკაცრავად, მაგრამ დედაშენი იმის ნახევარსაც ვერ მოახერხებდა, რასაც მე ვახერხებ. განა იმას ვამბობ, ეს კაცი ჩემზე მეტად არ ყვარებია-მეთქი, - არა, უბრალოდ, მან დროულად არ თქვა უარი თავის ავტობიოგრაფიაზე! *(მკაცრად; საკუთარი სიტყვების პათეტიკურობისა და ისტორიულობის შეგრძნებით)* ჩემნაირებს ავტობიოგრაფია არა აქვთ, სანდრო, ჩემი ავტობიოგრაფია კომპოზიტორ კონსტანტინე უნგიაძის ბიოგრაფიაა!

პაუზა. სანდრო შეშინებული და დაჭიმული უყურებს ზეინაბს. მძიმე სიჩუმეა.

მეც დავამთავრე კონსერვატორია, მეც კი მაქვს კომპოზიტორის დიპლომი. იცი, რა ნიშნები მყავდა კომპოზიციაში? მაგრამ მე უარი ვთქვი ფასადურ არტისტულ ამბიციებზე და ჩემს კუთვნილ ადგილს დავჯერდი... ოღონდ, უკაცრავად, მხოლოდ ცოლის კი არა *(მცირე პაუზა; ეტყობა, რომ უჭირს ამ სიტყვების თქმა)*, არამედ კომპოზიტორის ადგილს. *(ამაყად და ირონიულად იღიმება; აუღელვებლად)* "შოშიები", ჩემო კარგო, პრაქტიკულად ჩემი დაწერილი გახლავს... ყოველ შემთხვევაში, მელოდიური ხაზი ნამდვილად ჩემია...

სანდრო შეცბება ამ სიტყვების გაგონებისას. ზეინაბს ხმა ებზარება აღელვებისგან - ამაზე მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცხადებისათვის ემზადება. ამაყი და შეშინებულია:

და, რაც მთავარია, კონსტანტინე უნგიაძის მეცხრე სიმფონიის ბოლო ნაწილი.

პაუზა.

მე მამაშენის უკანასკნელი სიმფონიის ავტორი ვარ, სანდრო.

სანდრო სათვალეს იხსნის და ხელებში კუჭავს. მერე სახეზე იფარებს ხელებს. ხმას არ გამოსცემს, მხოლოდ მხრები უთამაშებს - ვერ გაიგებ, ტირის თუ იცინის. ზეინაბი გახევებული ზის თავის სავარძელზე და ტუჩებმოკუმული, დაძაბული შესცქერის სანდროს. სიღრმეში კონსტანტინე უნგიაძის მოგუდული სუნთქვა ისმის. სანდრო სახეზე აბრუნებს დაორთქლილ სათვალეს. დგება.

სანდრო. *(ხმა უკანკალებს)* ესე იგი, შენთვის იმზადებ იმ ადგილს... ის საფლავი შენთვის გინდა...

სანდრო მხრებში მოხრილი, არეული ნაბიჯით მიდის გასასვლელისკენ, თითქოს ყოვნდება კიდეც მამის საწოლთან, თუმცა ნაბიჯს მალევე უჩქარებს, კარს აღებს და გადის. პაუზა.

ზეინაბი. *(ირონიით)* იდიოტი.

მეშვიდე ეპიზოდი

იგივე ოთახი. დღე. ზეინაბი სკამზეა შემდგარი - ბრეჟნევის "მცირე მიწის" ტექსტზე შექმნილი ორატორიის აფიშას ხსნის კედლიდან. ოთახში პალტოგაუხდელად შემოდის ელისო.

ელისო. *(ზეინაბის სკამზე დგომას შეიცხადებს)* ვაი, ზეკო, მანდ რა გინდა?
ზეინაბი. ჰა? არაფერი... ვალაგებ. *(ახვევს აფიშას)*
ელისო. *(კონსტანტინეს - ენისმოჩლექით)* სალამი, ბიძი... *(ზეინაბს)* კიდებ რამეს?
ზეინაბი. ვხსნი. *(იატაკზე ჩამოდის)* არ მინდა, თვალში მოხვდეთ შენ ძმაკაცებს. *(იცინის)*
ელისო. ოჰ, რა ხარ! ოჰ, რა ხარ! *(ხითხითებს - პირზე ხელს იფარებს; სერიოზულდება)* კაცო, მართლა მოსკოვში გაფრინდა სანდრო?
ზეინაბი. ჰო, რა ვიცი, არ მოასვენა კლარამ, დღეში ცხრაჯერ ურეკავდა.
ელისო. *(გაოცებით და ნიშნისმოგებით)* ყოჩაღ! საერთოდ რაღას ჩამოდიოდა?
ზეინაბი. *(მხრებს აიჩეჩავს)* გაუგებ რამეს? ყავა არ გინდა?
ელისო. მოიცა, რა ყავა... მოდი აქეთ, ამბები მაქვს. *(ხელს ჰკიდებს, სავარძლებისკენ გამოყავს)*
ზეინაბი. *(შეშფოთებული)* რა არის?
ელისო. დაჯექი.
ზეინაბი. *(ნაძალადევად იღიმება)* რა გულს მიხეთქავ, ქალო!

სხდებიან სავარძელზე.

ელისო. ერთი კარგი ამბავი მაქვს და ორი ცუდი.
ზეინაბი. ორი კარგი და ერთი ცუდი?
ელისო. კი. უფრო სწორად, არა... ორი ცუდი, ერთი კარგი. ნუ მაბნევ.
ზეინაბი. რა ხდება?
ელისო. შეტევა გაუმეორდა ანჩაბაძეს დღეს დილით. რეანიმაციაში ყავთ.
ზეინაბი. ვინ გითხრა?
ელისო. მითხრეს, ნუ... გადამოწმებულია.
ზეინაბი. მეორე?
ელისო. ლია მურუსიძე გადაიყვანეს საავადმყოფოში...
ზეინაბი. პოეტი?
ელისო. კი.

ზეინაბი. მაგას რა ჯანდაბა ეტაკა?
ელისო. რა უნდა ტაკებოდა, ოთხმოცდათერთმეტი წლისაა! წაიქცა, მგონი.

ზეინაბი ფიქრებში მიდის, ტუჩს იკვნეტს.

ახლა კარგი: თემურმა ხალხს სულ "ჯოს, ჯოს" აძახებინა "შოშიების" სიმღერის მერე... მთელი მიტინგი მღეროდა. კოტე ბიძიაზე თქვა, მართალია, ფიზიკურად ჩვენთან არ იმყოფება, მაგრამ თავისი ჭეშმარიტად ეროვნული შემოქმედებით ხალხის გვერდით დგასო. ანუ, ხომ ხვდები, კოტეს ჯანმრთელობაზეც მიანიშნა ხალხს.
ზეინაბი. ზედმეტი ხომ არ მოუვიდა?
ელისო. არა, კაცო, იქ ვიყავი. ჯერ იმღერეს, მერე ეს თქვა, ბოლოს სამჯერ - ჯოს-ჯოს-ჯოს. ძალიან კარგი იყო. *(მცირე პაუზა)* მოკლედ, ვალში ვართ ამ ბიჭთან.

ზეინაბი დგება და ზურგს აქცევს ელისოს, ფანჯარასთან მიდის. ტუჩს იკვნეტს.

მაგრამ ფაქტია: კვდება, ნუ, ის ხალხი.

პაუზა.

აპოლონ სუხიასაც ერთი კვირის წინ შეუსრულდა ოთხმოცდასამი წელი.

კვნესით:

თუმცა, ესეც ხომ იცი, ვისაც რა უწერია, ეგრე იქნება... უბრალოდ, ჩემი აზრით, მაინც გასათვალისწინებელია ეს ინფორმაცია.

პაუზა. წუხილით:

ზეკო, ცუდ ხასიათზე დაგაყენე?
ზეინაბი. *(გაღიმებული ბრუნდება; ხალისიანად)* არა. ყავა არ მოგინდა?

მერვე ეპიზოდი

იგივე ოთახი. ღამე. ოთახს ფანჯრიდან შემოსული ქუჩის ლამპიონების შუქი ანათებს. ზეინაბი იმავე სავარძელზე ზის, რომელზედაც წინა ეპიზოდში იჯდა. ხელში პატარა ჭიქა უჭირავს (ისეთი - ან ზუსტად ის, რომლითაც სანდრო სვამდა კონიაკს), წინ, მაგიდაზე, კონიაკის ბოთლისა და ფოტოალბომის გვერდით, კონსტანტინე უნგიაძის ჟანგბადის ნიღაბი უდევს.

ფირსაკრვზე შრიალით ტრიალებს ფირფიტა - ჟღერს კონსტანტინე უნგიაძის "რიონ-სიმფონია". თუკი ამ მუსიკას, ქუჩაზე გავლილი მანქანების ხმასა და კომპოზიტორის საგანგაშო ხრიალს არ ჩავთვლით, სიჩუმეა.

კომპოზიტორი ბორგავს.

ზეინაბი. ახლა სიმებიანები შევლენ, უსმინე. ალტზე ანტონ ფილფანი უკრავს, შენი მოწაფე. სპეციალურად ჩამოფრინდა რიგიდან. ერთი კვირა ვეხვეწებოდი. რადიოში ჩავწერეთ. *(მცირე პაუზა)* ახლა სოლო აქვს. უსმინე. მიყვარს ეს ნაწილი.

კოპოზიტორი განწირულად ხრიალებს.

ფაგოტი ზედმეტია. უნდა ამოგეღო. ან ჩაგექრო მაინც. *(მცირე პაუზა)* ჟრუანტელი მივლის ხოლმე ამ ფრაგმენტზე. *(თვალებს ხუჭავს, კონცენტრირებული უსმენს, იღიმება)* აქ შემიყვარდი. *(იცინის; მშვიდდება - მკაცრად)* სულელი არ იყო ის ქალი? არ მესმის, როგორ მუშაობდი ასეთი უვიცის გვერდით! *(დანანებით)* ამ დროს, რა ღრმა მუსიკას წერდი მასთან ცხოვრების დროს... *(მცირე პაუზა - უფრო მკაცრად)* ტემპი ზედმეტად ნელია. დამეძინა. ვლასოვია დირიჟორი, კი არ მახსოვს.

დგება, მიდის თაროსთან, იღებს "რიონ-სიმფონიის" ფირფიტის ყდას, თვალებმოჭუტული დაჰყურებს. იმანჭება:

რა წვრილი ასოებია... *(კმაყოფილი)* აჰა, ვლასოვია, კი. უნიჭო.

კომპოზოტორი ხვანცალებს - ლამისაა საწოლიდან გადმოვარდეს.

კოტე, რატომ არ უსმენ? არ მოგწონს? ნახე, რა პიციკატოა. შენი ბახვის ღელეა, კოტე. გახსოვს, ასე მითხარი?

კომპოზოტორი ხავის, ხელებს მაღლა წევს. ზეინაბი ძირს აგდებს ფირფიტის ყდას, საწოლთან მიდის, საზურგეს ებჯინება. თავს ვერ იკავებს - ტირის.

რაო, ჩემო სიცოცხლე? არ გყოფნის ჰაერი? *(თვალებიდან ღაპა-ღუპით ჩამოუდის ცრემლები, ხელით იწმენდს)* ამას შენ გამო ვაკეთებ... ცოტაც მოითმინე, შენი ჭირიმე, ნახევარ საათზე მეტია გასული. ნახე, რა მუსიკაა! უსმენ?

კონსტანტინე საწოლიდან ადგომას ცდილობს.

რას აკეთებ?

კონსტანტინე ასანთის ღერებივით წვრილ და მოკანკალე ფეხებზე დგება, თითქოს ძალა ეძლევაო, - მართალია, ერთიანად ცახცახებს, მაგრამ მაინც ახერხებს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას. ხელები განზე აქვს გაშლილი, პირს ხმელეთზე გამოგდებული თევზივით აღებს და მუწავს - გეგონება, ჰაერს ჭამდეს, - თავზე ერთი-ორი ღერი თმაღა აქვს შერჩენილი და ისიც აჩეჩვია, თვალების ადგილას ორი ვეება ორმო აქვს. ჩონჩხს ჰგავს.

კონსტანტინე ზეინაბისკენ მიდის. შეშინებული ზეინაბი ხმამაღლა მოთქვამს და სავარძლებისკენ გამორბის.
ხმადაბალი მუდარითა და ტირილით:

უნდა მოკვდე, კოტე! უნდა მოკვდე, ჩემო სიცოცხლე! ასეა საჭირო! რატომ მაშინებ? დაბრუნდი საწოლში! მერე ვეღარ გადაგათრევ... რომელი საათია?

კონსტანტინე ხავილით მოდის ზეინაბისკენ.

ნახე, როგორი ლიტავრებია! მოუსმინე! *(გაბრაზებული უყვირის)* კოტე, ნუ დამღალე, ათი წელია, ფეხზე არ ამდგარხარ!

კონსტანტინე ერთს კიდევ ამოიხავლებს და ძირს ებრეხვება. ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, თითქოს გზაში დაიშალა. ზეინაბი კივის და სახეზე იფარებს ხელებს. მუსიკის მეტი არაფერი ისმის. ზეინაბი კონსტანტინესთან მიირბენს, დახედავს, ისტერიულად, მოკლედ, რაღაც უცნაურად - შვებით თუ დარდით დაისხლიპინებს და ფირსაკრავისკენ გაიქცევა. ზეინაბი ფირსაკრავს თიშავს. ბრუნდება მაგიდასთან, ჭიქა აკანკალებული ხელით მიაქვს პირთან და ნარჩენ კონიაკს სვამს. იჭყანება. ჭიქას უკან დებს. ცრემლებს ხელებით იმშრალებს. ღრმად სუნთქავს, ხელს მკერდზე იბჯენს (როგორც ჩანს, გული ატკივდა), დამშვიდებას ცდილობს. მიდის როიალთან და თავის ჩვეულ პოზაში, მომღერალივით დგება მის გვერდით; ახველებს (თითქოს ხველებით ცდილობს გამოფხიზლებას),
ტელეფონს თავისკენ აჩოჩებს, ყურმილს იღებს და ნომერს კრეფს. ელოდება. პაუზა. ტრაგიკული, გაბზარული ხმით:

ბოდიშს გიხდით, ბატონი ვალერიანი თუ არის შინ? გმადლობთ.

პაუზა. ელოდება.

ბატონო ვალერიან, უკაცრავად, ასე გვიან რომ გაწუხებთ. ზეინაბ უნგიაძე ვარ... *(ნიკაპი უკანკალებს, ეტირება)* კოტე გარდამეცვალა. *(პაუზა)* დიახ, უცაბედად. *(პაუზა)* ერთი საათიც არ იქნება გასული. *(პაუზა)* ღმერთო,

რამდენი გეგმა ჰქონდა საცოდავს. *(პაუზა - ტირილს უცებ წყვეტს)* რატომ არის ორმაგად საშინელი დღე? *(პაუზა)* ვინ გარდაიცვალა? *(თავს ვერ მოზომავს, იყვირებს)* ჩემი თვალით ვნახე ორი დღის წინ - მშვენივრად იყო! *(იყვირებს)* რა გაუმეორდა? *(პაუზა; სახე ემანჭება, ტირის - შეგონებასავით იმეორებს)* ბატონო ვალერიან, შვილებს გაფიცებთ, გემუდარებით, ნუ ეტყვით პირველ მდივანს... ნუ ეტყვით პირველ მდივანს... ნუ ეტყვით პირველ მდივანს...

სცენა ბნელდება. მხოლოდ ზეინაბის მოთქმა ისმის.

ეპილოგი

(კომპოზიტორ კონსტანტინე უნგიაძის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ)

ოპერატიული მასალა* ** საქ სსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან*

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. 1988 წლის 17 აპრილი. ღამის 2 სთ. 35 წთ. მოქ. ზეინაბ უნგიაძეს სახეზე ანათებენ ფანრის შუქს. თმას ქარი უწეწავს. დაღლილი და ფერმკრთალია. მარჯვნიდან და მარცხნიდან მილიციის თანამშრომლები უდგას. მოქ. ზ. უნგიაძე ხელით უჩვენებს მიწაში ჩატენილ ყუთზე.

შსს-ს თანამშრომლის ხმა. რა არის ეს?
ზეინაბ უნგიაძე. *(სახეზე ხელს იფარებს)* ურნა.
ხმა. ახსენით, რა არის ამ ურნაში?

პაუზა.

ზეინაბ უნგიაძე. *(მორცხვად, კიდევ უფრო ხმადაბლა)* ჩემი მეუღლის, კომპოზიტორ კონსტანტინე უნგიაძის ფერფლი.

პაუზა.

ხმა. რა ქვენა გრძნობა გამოძრავებდათ, როცა პანთეონში იპარებოდით?
ზეინაბ უნგიაძე. *(ბრაზობს)* არანაირი ქვენა გრძნობა არ მამოძრავებდა... ურნის ჩამარხვა მინდოდა მიწაში.

პაუზა.

ხმა. რატომ?

პაუზა.

ზეინაბ უნგიაძე. იმიტომ რომ დავიმსახურეთ აქ ყოფნა.

ფარდა

** საქ სსრ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან*

ლაშა ბუღაძე
2010, ოქტომბერი- ნოემბერი